

# ნათესაობა



ქართული  
ბიბლიოთეკა

1

1993


125

1-12


სატირისა და იუმორის ჟურნალი

აგს თუ ავი არ ვუწოდო,  
კარგს სახელად რა დავაკჩო?

ნახ. მ. აბაშიძისა



# „ქვეყნის მომავალი“ ჟურნალი



## საქართველო

თუ ბინდათ, დაწვანარაბული  
 და მუმიდი ზქონდეთ ბაისი,  
 ბთხოვთ, დაიჭიროთ სუჰვალა,  
 ვინც თოვს ახალ წელს ბაისვკის!  
 თოჰურიანები არაგვან  
 ჩვენს შალაქებს და ჩვენს სოფლებს,  
 სწოკად ისინი ძარცვავენ  
 ჩვენს მოჰმეებსა და მეოგლებს!  
 ... და ამის უმადებ ახალწლის  
 სუფრასთან როცა დასხდებით,  
 თავს ნუ მოიკლავთ ჰამისხან  
 და ნუკც ღვინის სმით დასხდებით!  
 ბახსოვდეთ, ბარდა მუცდისა,  
 არის საფოგლოც საყუალი, —  
 რომ მისი ფასი ბავიგოთ, —  
 ჰკუა ბგაქვს ყველას სასწავლი!  
 რა ბითხრათ, რით ბაბახაროთ,  
 ან რა ბისუტკოთ ახალ წელს? —  
 მოგიბ! ახლა არაგვინ  
 ალაკც ხატავს და ალაკც წიკს!,  
 მტოი რავ მინდა ბაცნოგო  
 ახალჩქიულ ბარლაშენტს;  
 თუ მერბეჭიკი ილონეთ,  
 შალა თქვენც მოგბიარაგვენ,  
 რომ უმავარდნაქვს მოსთხოვონ  
 ბამოსასწიდი ფულები!  
 ანებ მოხლება, ჩვენს ყოფას  
 თუ მერ ჩასწვდებით სრულებით!  
 რა ბითხრათ, რით ბაბახაროთ?! —  
 ჩვენი თეატრის ბრანდები,  
 რატოვლაც ყველა ერთთავად  
 ბაშსდარან ემიგრანტები!  
 ბი უმეტოგილი სუჰვალა  
 და უმეტოგილი ასულიც —

ლონდონ-რომ-პარიზ-ვენაში  
 არიან ახლა წასულნი!  
 მანდ იხოვება იაფად  
 პარკი ხარისხის საბინა! —  
 თქვენც ჩიცვით და ჩამოდით  
 ძვირფასი მკვდრების საბიკლადა!,  
 რა ბითხრათ, რით ბაბახაროთ?! —  
 მოსაბები ბგაქვს ომები! —  
 ამიტოგ ერთს ბთხოვთ: ყველანი  
 იმ ერთ პაცს ნუ ეოგობით!  
 ნუკც ბაგონებათ, თითქოსდა  
 მანანა იუოს ციუკი  
 მხოლოდ და მხოლოდ დახლი და  
 ფუნდუბი კომეკციული!  
 სიმიდი თუ არ დათესათ  
 და ვაჰი თუ არ ბასხალით,  
 უიმშილის წიკა ბახდება  
 თქვენი ყვეანა სუყუალი!  
 რა ბითხრათ, რით ბაბახაროთ?! —  
 საფოგლო ებრძვის ან ხროვას!  
 ჰიკს ამიტოგაც ღიმილი  
 და, — მით უმეტეს, — მასხრობა!  
 რა მთქვა?! ეს წელი მრისხანა  
 პაცუკად ბადაბეთრიოთ  
 და სიხარულებს სწოკდეთ —  
 ბულეგში არ დაბებიოთ!  
 დამთავრებული გვენახოს  
 ტანჯვა, წამება, ჯახიკი,  
 და დამდგარიყოს ყველი ღრო —  
 „დაღვიხა“ და „შაჰიკის“!..

მთავალი  
 1992 წ.

— პატივცემული მასწავლებელი, სულ ლექსებს რომ გვაწვი-  
რებინებო, მშობლები გვეკითხებიან, ფულის გაკეთებას როდის  
გასწავლიანო?!

ქვეყნული  
პედაგოგიკა



ნ.ბ. შ. აბაშიძისა



# შოქშია

დღევანდელ  
გადაცემათა  
პროგრამა!

მეგობრებო, ახლა კი გააცნობთ დღევანდელ ჩვენს ტელეგადაცემათა პროგრამას:

ათ საათსა და ნულ-ხუთ წუთზე გთავაზობთ ქუჩებიდან დაკარგული „გაზ-2101 უიგულის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანების სახელმწიფო ნომრებსა და სერიებს!

თერთმეტ საათსა და თექვსმეტ წუთზე ეკრანზე იხილავთ საღამოს საათებში — ექვსიდან რვაამდე — თავიანთი საცხოვრებელი სახლების საღარბაუბოებთან გაძარცვულ 1961 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გვარებს!

ცამეტ საათსა და ნულ-შვიდ წუთზე მოგაწვდით ეზოებიდან დაკარგული „გაზ-21“ მარკის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა ტელეფონების ნომრებს!

ოთხმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ჩამოვითვლით ქალაქის შეექვსე, მერვე და მეთორმეტე მარშრუტის ტროლეიბუსებში ნაპოვნი სხვადასხვა პირადი საკუთრების ნივთთა სახეობებს!

თხუთმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე გადმოცემული იქნება გახული დღე-ღამის განმავლობაში უჩაღთა მიერ გაძარცვული ბინების მისამართები!

თექვსმეტ საათსა და ნულ-ნულ წუთზე რუბრიკით — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ — შეხაძლებლობა გექნებათ ნახოთ დაკარგული პასპორტები თუ პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები!

ჩვიდმეტ საათსა და ნულ-ხუთ წუთზე თქვენ მოისმენთ დღისით-მზისით, ყველას თვალწინ გაძარცვულ, 1959 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გვარებს!

თვრამეტ საათსა და ოცდათორმეტ წუთზე გააცნობთ მათ სახელებს, ვინც გუშინ, უცნობ პირთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად, მიიღეს სხეულის მძიმე დაზიანება, ან სასიკვდილო კრილობა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალენ!


ცხრამეტ საათსა და ნულ-რვა წუთზე ეკრანზე ნახავთ 1968 წელს დაბადებულ ნარკომანთა სიას!

ოც საათსა და ჩვიდმეტ წუთზე ცსფერ ეკრანს ვუთმობთ თექვსმეტიდან ოცი წლის ასაკამდე იმ ქალი-შვილთა სახეებს, რომლებმაც ბოლო ორი დღის განმავლობაში, დედაქალაქის მთავარ გამზირზე, ცივი იარაღის გამოყენებით, გახადეს ორმოცდარვა ზომის ტყუპის ქურთუკები!

ოცდორ საათსა და თერთმეტ წუთზე განმეორებით გთავაზობთ ეზოებიდან დაკარგული „გაზ-21“ მარკის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა ტელეფონებს ნომრებს!

მოისმინა ნომადი ბარტაიამ

საქართველოს  
მედიკოსი




ჰ.




— ნუთუ, არაფერი შეიცვალა ამ ერთი წლის განმავლობაში?

— როგორ არა, ახლა არც ტალონებია და არც სურსათი!..



ნახ. ი. ყვინაშვილისა



გონიერსა და ჭკუაშახვილ პიროვნებას, მტერიც ბლომად ჰყავდა. ხალხის მეხსიერებამ შემოგვინახა მეფე გიორგის მასხარასთან დაკავშირებული რამდენიმე ჭკუისასწავლი და თავშესაქცევი ეპიზოდი.

როგორ მოვიქცეთ?

მეფე გიორგის დედა გარდაეკვალა. დამწუხრებული დარბაზი შეკრიბა მეფის გამოსვლის მოლოდინში. ამ დროს მახართბელი შემოეარა და დარბაზს უფლისწულის დაბადება ამცნო. დარბაზი დაიბნა: აღარ იცოდნენ, ვგლოვით თუ ემზიარულათ. ერთი გლოვის მომხრენი იყვნენ, მეორენი — მზიარულების. მასხარამ უსმინა დიდებულებს, უსმინა და ბოლო უთხრა:


— თქვენგან არ მივირს?! ტყვილა რაზე იღლებით?! — დაწყნარდით, ენახოთ, როგორ შემოვა მეფე გიორგი: თუკი სიცილით — ჩვენც ვიცინოთ თუკი ტირილით — ჩვენც ცრემლი გადმოვავდოთ!

ხარის რძე

ერთხელ მეფე გიორგი უგუნებოდ შეიქნა. იხმო მასხარა და უთხრა: — ჩემი მჭურნალი ახალ წამალს მიშაადებს, შავრამ ხარის რძე აკლავს იწოვს!.. როგორმე უნდა მიწოვო!

— ხარის რძე? მაგაზე ადვილი რა არის, — არ დაიბნა მასხარა, — სწორედ

მეფე გიორგი საზრიანი კაცი და საკმაოდ მარკვე პოლიტიკოსი გახლდათ. ამავე დროს ყველამ უწყოლა მისი ჭირვეულობა და თავჭეიფობა, განსაკუთრებით — ნაპურმარილეზე. ჰაიპარად ვერავინ უბედავდა რაიმეს, მისი საყვარელი მასხარას გარდა. ყველა აღიარებდა, რომ მასხარა მარტო ენაშახვილი კი არა, ჭკუასაკითხავი კაციც იყო, მიუხედავად ამისა, როგორც ყველა



ნახ. 0. ყვინაშვილისა

ჩემს ძმას ჰყავს მეწველი ხარი. როგორც კი ჩამოვა, შივალ და გამო-  
შევ.  
— სად არის წახული?  
— მეცნრე თვეზეა და მოსამშობიარებლადაა სოფელში. ხიდდრთან!  
— შენი ძმა?! რაებს მიედ-მოედები?! კაცის მშობიარობა ვის გაუგია?!  
— თუკი ხარის რძე შეიძლება?! — აფხუქუნდა მასხარა.  
მეფე გიორგისაც სიცილი წასკდა და უქეიფობაშიც გაუარა.

**სამს მივუხატოთ ერთი..**

ერთხელ მეფე გიორგი აუხირდა მასხარას: — ქვეყანა ბრიყვებითაა  
მარამ სამი ყველაზე უფრო ბრიყვი უნდა მოძებნო და მომიყვანო!  
დაეიდა მასხარა უბირველეს ბრიყვთა საძებნელად. ბევრი იარა თუ ცო-  
დაინახა კაცი, რომელიც ხორაგითა და ტკბილეულით გატენილი ხურ-  
თ დატვირთული მიიჩქაროდა.  
— სად მიხვალ? — ჰკითხა მასხარამ.  
— ჩენი ცოლი სხვას გაპყვა, ახლა შეილი შეეძინათ და ძეობაზე მივი-  
თა.

სწორედ შენ დაგეძებს მეფე გიორგიო! — უთხრა მასხარამ და თან გაი-  
და. ცოტა გაიარეს და შემოხვდათ ვირზე მჭდომი კაცი, რომელსაც მხარ-  
დინის მოზრდილი კონა გაედო.  
— რას შვრები. კაცო?! — გაუყვირდა მასხარას. — მაგ ფიჩხს ვირს  
აპილებ?  
— ვირი ძაყედაა და მძიმე ტვირთი არ შეიძლება! ისიც ეყოფა, ზედ  
გაზივარო..

სწორედ შენ დაგეძებს მეფე გიორგიო! — უთხრა მასხარამ და ორთა-  
ვენი მეფეს მიგვარა. როცა ამბავი შეიტყო, მეფემ გულიანად იცინა და, --  
მესამე საღლაო?! — იკითხა.  
— მესამე მე ვარ, — მოახსენა მასხარამ. — ამ ბრიყვების ძებნაში წა-  
ლები რომ გავიციეთო!  
— თუკი ასეა, მეოთხე მე გამოვდივარ, ასეთი ბრიყველი ბრძანება რომ  
გავეციო! — უკმაყოფილოდ წარმოთქვა მეფემ.  
— ეგ მე არ მითქვამს, თავად ბრძანეთო! — აფხუქუნდა მასხარა.  
მეფე გიორგისაც სიცილი წასკდა.

**უკვდავი მეფე**

მეფე გიორგი კარგა ხანს იყო ავად. თავგაბეზრებულმა თქვა:  
— მეფე არ უნდა სხეულდებოდეს და არ უნდა კადებოდეს, მეფე უკვ-  
დავი უნდა იყოს!  
— დიღო მეფეო, — უთხრა მასხარამ, — ახე რომ იყოს, შენ როგორღა  
გამეფდებოდიო?!

**წელიწადის დრონი**

— რომელია უმჯობესი წელიწადის დროთა შორის? — ჰკითხა ერთხელ  
მეფე გიორგიმ მასხარას.  
— იცი, რას გეტყვი, დიღო მეფეო?! — მდიდარი კაცისთვის ყოველი  
დრო კარგია, ღარიბისთვის — ერთიმეორეზე უარესი!

# საქართველოში

ეროვნული  
კულტურის

თელავის ავტობუსში დამგზავნა სახენაყველო მალაკისკრა, ბასრცხვირა, ასე, რომცოდე წლის კაცი იყო. შუბლიდან კედამდე შუაგაყოფილი, ბრილიანით დამორჩილებული თმა საფეთქლებთან, როგორც ვერძს ჩამოხრილი რქები, ისე ჰქონდა ჩამოშვებულ-ჩამოკაუჭებულს. კახური ქუდი არ ეხურა და არც ხელისზურგები ჰქონდა მზისაგან თუ ჯაფისგან დამწვარდახეთქილი, ან პარიკმახერი იქნება, ან ბულჭალტერი-მეთქი, გავიფიქრე, პარიკმახერი აღმოჩნდა, გოლა მქეი-აო, იყალთოს ჩასახვევთან, იქვე, მალაზის გვერდით ვმუშაობ, თუ ჩვენსკენ გზა დაგირჩეთ, უფასოდ გალამაზება ჩემზე იყოსო!



სახელება

აი, რა მიამბო:  
კაცი რომცოდაათ რო გადაშორდება, უფრო გულდაგულ-ითვლას დღეებს და წელწადებსა. შიშით შეჭყურებს ბებრებსა და, თუ გაუშინაუროდა, პირველ რიგში ეკითხება: რამდენი წლისა ბრძანდები, ძიაკაცო, ისე როგუთა საქმე, ჯანზე როგორა ხარ, ქვედა სართულებში რა ამბავიაო?

ინტერესებს, აბა, რომელ წლამდე რა შეგვიძლიან და მამაკაცად დარჩენის დროს დაჰქანკალებს, სუ ტყუილი ყოფილა, აქაოდა, სამოც წლამდე მაგრები ვართ, მერე რალაც-რალაცებ სალათი ძილი მაერევათ და სამუდამოდ ისვენებენო, მამაჩემი სამოცდათხუთმეტი წლის გახლავთ და, თუ უზრდევლობაში არ ჩამამართმევთ, შარშანდელ ამბავ გიამბობთ, გზაც მალე გაილევია, და იქნება, ცოტა გაგამხარულოთ კიდევ!

მამაჩემ კენჭმა გაუარა და ექიმებმა ტრუსკავეცი ურჩიეს, სადღაც ლოგვი იქეთა ყოფილა, ნავთიანი წყალი ამოდის, რო ვსვამდით, გულ-მუცელი ავად გვიტოკავდა, მაგრამ რა გვექნა, საჭირო იყო.

როგორც იქნა, მოვისისხლვასეთ

ჯამრთელი ვარ, მაგრამ თან მივდეგ მამაჩემს, ამოტოლა გზაზე მოხუცს მარტო ხომ ვერ გაუშვებდი?!

ცალკალკე მოგვათავსეს, ერთ სართულზე, გვერდიგვერდა — მამაჩემი ორასთერთმეტში, მე — ორასთორმეტში, მამაჩემო, შენს ნომერში შედი, ცოტა მუხლი გაემართოთ, შვიდზე ვახშამია-მეთქი, ნამგზავრი ხალხი ვართ-მეთქი! — მამაჩემს ვეუბნები, სუ ერთი საათის ჩამოსულეები ვართ, ერთიც ენახოთ, ბედი აღჩუზე დაჭდა, თვალეები მეღულება, ძილი თავისკენ მიმათრევს და კაკუნი გაისმა.

პაუალუსტა-მეთქი! — გაეძახე, გოგო შემოვიდა, მაგრამ რა გოგო! გოგო კი არა, ფარშავანგი! — მალალი, ლამაზი, თეთრყირმიზა, თეთრხალათიანი, თავზე გამტკიცული მარლის ვებერთელა ქუდი ახურავს, ცხრამეტი-ოცი წლისა იქნება, ანგელოზია პირდაპირ!..

სიხარულისაგან ფერიფური დაგკარგე, რომ იტყვიან, ელემელეთი მომივიდა, ხელში წყლიანი გრაფინი უჭირავს, დამისხა, მომაწოდა, სულ-მოუთქმელად დაგცალე.

მეო, ლუსია მქვიანო, სანიტარკაექთანია ვარო, თქვენ, ალბათო, საქართველოდან იქნებითო!

დიახ, კახელი ვარ-მეთქი!  
ჩურჩხელები და ნახუქები თუ ჩამოიტანეთ?

მა რალა კახელი ვიქნები, ეგვიც თუ აო ჩამოძირანია-მეთქი, თქვენ ოლონდ დაღევა შაიძელით და კახური ჰუკაც ჩემზე იყოს-მეთქი!

გაიცინა ჩანჩქერის სიცილითა, ვეცი ჩემოდანს, თოკები დავაგლოჯე, არ გამეჭკეს ეს ანგელოზი-მეთქი!.. სიჩქარისაგან ხელი მიკანკალებს!.. დაუშვი მაგიდაზე რაც საკბილო-სასუსნავი ჩემოდანში მედო.

ერთი ჩურჩხელა აიღო, ჩაქბიჩა, — ჩურჩხელა ძალიან მიყვარსო, ამხედ-დამხედა, — რა გაწუხებსო? მე არაფერი-მეთქი, მოზუერივით ჯამრთელი ვარ, მამაჩემ ჩამავყევ, კენჭმა გაუარა-მეთქი.

არა უშავს, ეგ წყალი ჯამრთელსაც უხდებო, ახლა წავალ და ვახშამის წინ ერთი საათით ადრე დაგალევივინებთ წყალსაო.


მაიცა-მეთქი! შე თვალტანმადლიანო, წყალი იქეთ იყოს-მეთქი, ცოტა ხანს დარჩი, მანდ სკამზე ჩამოჯექ, ცოტა ხანს კიდევ მაყურებინე შენთვისა-მეთქი!

ეშმაკურად ჩაიციანა, რა სუ ერთნაირები ხართ ეს ქართველებიო, შენაო, მგონი, მოგეწონე კიდევო.

მომეწონე კი არა, ისეთი კარგი ხარ, როგორც რქმუთუმშრალი ბატკანი, ანდა გაზაფხულისპირის ნადიკვარზე ამოგორებული მთვარე-მეთქი.

კარგიო, რაკი ეგრე ჩავგარდნია გულში ჩემი სურვილი, მოვალ და მოგეფერები, ოლონდ ხომ იცი, ახლანდელ გოგოებს საჩუქრები გვიყვარსო, წადი ხვალ უნივერმაგში, ოდეკალონი „კიევსკაია“ მიყიდე და ხვალ ამ დროითვინ დამელოდო! არ შეგეშინდეს, „კიევსკაია“ სულ შეიდი მანეთი ღირსო!

თუნდაც შეიღჯერ შეიდი ღირდეს-მეთქი, შე ქალო, რას მიქვიან „კიევსკაია“, გიყიდი, მა რა ჯანდაბან ვიქმ-მეთქი.



კარგი, აბა, შევთანხმდითო და კარისავენ წავიდა.

მოიცა-მეთქი. — ყელგაშვერილმა მივაძახე, — ხომ იცი, აქედან გამქცევი არა ვარ, ოცდაათხი დღე თქვენი სტუმარ-ტყვე ვარ, რაღა ხვალისთვის გადავლოთ ის, რისი მონებრებაც დღესვე, აქვე მშვენივრად შეიძლება-მეთქი. რაც შეეხება „კიევსკაიას“, მაგაზე ფიქრი ნუ გექნებათ-მეთქი!

ცოტა შეეყოყმანდა და რომ შევაშველე სიტყვის ბიჭები აქეთ-იქითა, კარი ჩაკეტა, ფარდა ჩამოუშვა, საწოლზე ჩამოჯდა და გახდა დაიწყო. თანაც გამაფრთხილა, — პომბადა არ წამქამო და თმები არ ჩამომიშალო, დახვევას დიდხანს ვუნდები ხოლმეო! რა თმები, რი პომბადა, ეგრე დავკმულხენე, როგორც დასათელ-დასარბილებელი ახალი ტიკი.

წასვლისას გაზეთის ნახევზე დიდი ასოებით დამიწერა: კი ე ვ ს კ ა ი ა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მეორე დღეს, ერთის მაგივრად, სამი „კიევსკაია“ დავახვედრე. მერეც ყოველ შემოსვლაზედა თითო „კიევსკაიას“ ვუფეშქაშებდი ხოლმე.

ჩამოსვლიდან მერვე თუ მეცხრე დღეზედ მაშინემს კენჭმა ისევ გაუარა, ეგრე სცოდნია ტრუსკავეცის წყალსა, ეგ კარგი ნიშანიაო. — ექიმმა, — ესე იგი, წყალმა იმოქმედაო! ორი დღე იწვა, მერე გამოძვობინდა და, — ნასაუზმევს ქალაქში გავისეირნოთო! — შემომთავაზა.

მივაბიჯებო ტრუსკავეცის კრელ, კურორტულ ქუჩაზედა, მე და ჩემი დროული მამა.

უნივერსიტეტი რო გავუსწორდით, — შენაო, აქ ცოტა ხანს მამითმინეო! — მამაჩემმა, — თელავიდან ადეკალონი წამოღება დამეიწყინა, სახის კანი გაღიზიანება ვიცი ხოლმე გაპარვას შემდეგაო.

მე მაქვს-მეთქი ტრაინოი ადეკალონი, — შეფიქრიანებით შევხედე: — ადეკალონიგულითინ ამ რიგში ხომ არ ჩადგები, ავადმყოფი კაცი ხარ, შეწუხდები-მეთქი!

არაო, რაღაც ახალი ადეკალონი გამოუგონიათ, მიჩრჩიეს, სახის კან ძალიან არბილებსო, სახელი ამამვარდა გულიდან, სადღაც მიწერიასო. ჩაყთ საფისტონე ჯიბეში ხელი და გაზეთის ნახევიც გამომიწოდა.

თვალი ჩავკარი, დამცეცხლა, კიევსკაია გარკვევით ეწერა!.. ლუსიას ხელი მაშინვე ვიცანი.

...ტრუსკავეციდან კარგა ხნის დაბრუნებულები ვართ, ჩვენი რაიკეშირი თავჯდომარემ დაგვაბატეა, სიდედრი დღეობა ჰქონდა.

ტრუსკავეცში დავისვენეთ, მამაჩემ ძალიან მაუხდა იქაური წყალი-მეთქი. — რას მოვაყოლე, აღარ მახსოვს.

რომელ სანატორიუმში იყავითო? „ხრუსტალნი დვარეცში“-მეთქი. იქაო, ლუსია თუ ნახეთო? შიშით გავხედე, მამა-შვილის შე-

რცხენისა ხომ არაფერი იცის-მეთქი.


ჰო, მგონი, იყო ეგეთი სანატორიუმი, — ცალკეად ვეუბნებო „კიევსკაიას“ თავი გაანებე! შენ „კიევსკაიას“ უეჭველად გაყიდინებდა ლუსია, არ უნდა ამას ჭიჭინო! — ხითხითებს, — თუ იცი, რატომ იღებდა ყველასგან საჩუქრად მხოლოდ „კიევსკაიას“ ან რად უნდოდა ამდენი „კიევსკაიაო“?

არა-მეთქი, ისე კი მართლა მინტერესებს, მეც მიფიქრია მაგ საკითხზე.

აბა, შენ ყოფილხარო, მთავარი არ გცოდნიაო, ლუსია ყოჩალი გოგოა და დღემი ამოტოლა სანატორიუმში, მინიმუმ, შეიდ-რვა „კიევსკაიას“ ხომ დააგროვებსო? თანაც წესიერო გოგოს სახელი აქვს, ფულს არ იღებსო, დღის ბოლოს ალალი შრომით მოხვეჭილ ყველა „კიევსკაიას“ უკან აბარებს უნივერსიტეტში ხუთ-ხუთ მანეთადო, იმათაც მოგებულს ტრევეს და თვითონ ხომ ორმაგად მოგებული რჩებაო.

ახლად მიგხვდი, კიდევ ამიტომ იყო პირველ დღეს, — „კიევსკაია“ ხომ არა გაქვთ-მეთქი? — რიხიანად რომ ვეკითხე, გამყიდველი გოგოები ავისკისდ-ამიგძეგდნენ: — გვაქვს გვაქვს, კარგი ხალხითინ ყველაფერს ვიშოვითო!..

ილუსტრაცია ჯ. ლოლუასი




ნახ. ჯ. კუციანსი

# სურათი

საქართველო  
გეოგრაფიული



სურათი



— თუ შეიძლება, ერთ კითხვაზე გვიპასუხეთ: კარგი ცხოვრება გირჩევნიათ თუ ცუდი?

მურნალი „ნიაფი“- №1 (1675), იანვარი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.  
 მთავარი რედაქტორი ზაპრ ბოლქვაძე. სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, კახუა ამირეჯიბი, ნოზაძე ბარათია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), გივი ლომიძე, ნოდარ მაღალაშვილი, რევაზ მიწველაძე, გივი პეტრიაშვილი, ალექსანდრე სამხარაძე, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი), მიხეილ კვციანიძე, ლერი ჩანტლაძე, ჯანსუყ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ალექსი ჭინჭარაული, ტექნიკური რედაქტორი გიორგი დუნდუა, გადაეცა ასაწყობად 30. 12. 92 წ., ხელმოწერილი დასაბუქად 08. 02. 93 წ., ქალაქის ზომა 60X901/2, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 1, კარტონის ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტაჰა. შეკვ. № 2273, ტირაჟი 22.200. მურნალი გამოდის თვეში ორჯერ რედაქციის შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. მურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სახელმძღვანელო რეგისტრაციის № 0606. რედაქციის მისამართი: 380009, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთავარი რედაქტორის მოადგილის, გენერალური დირექტორის — 93-19-42, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განმარტების გამგეების — 93-10-78, 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მღვიან-მეგანქანის — 99-76-69, ინდექსი 76187.

სურათი